შპს „ქობულეთის წყალის“ დირექტორს
ბატონ ო. ზ.-ს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ს. ე.-ს

რეკომენდაცია

რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ “ ორგანული კანონის მე-20[1] მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

2016 წლის 27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს მომართა ააიპ „ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრმა“ (შემდგომში EMC), რომელიც წარმოადგენს ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ (შემდგომში განმცხადებელი) ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში. EMC მიუთითებს, რომ შპს „ქობულეთის წყალის“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან ადგილი აქვს განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „ქობულეთის წყალიდან“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

2014 წლის 26 ივნისს ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეს შპს „M&B“-სა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის სისტემაზე პასუხისმგებელ შპს „ქობულეთის წყალს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ქობულეთის წყალს“ უნდა განეხორციელებინა ამჟამად ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ობიექტის წყალგაყვანილობის სისტემაზე მიერთება და აბონენტად აყვანა. აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ, აბონენტად აყვანის ღირებულება - 1650 ლარი შპს „M&B“-ს მიერ ჩაირიცხა შპს „ქობულეთის წყალის“ ანგარიშზე, რაც დასტურდება სს „თიბისი ბანკის“ 2016 წლის 24 ივნისის საგადახდო დავალებით.

2014 წლის 1 აგვისტოს ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეს შპს „M&B“-სა და ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობას“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობას“ დროებით სარგებლობაში გადაეცა აღნიშნულ მისამართზე არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა.

2014 წლის 26 ივნისს ხელშეკრულების გაფორმებისას შპს „ქობულეთის წყალმა“ შპს „M&B“-ს მინდობილ პირს - მ. მ.-ს დაუდასტურა, რომ რამდენიმე დღეში დაუკავშირდებოდნენ და აცნობებდნენ სამუშაოების შესრულების თარიღს. შპს „ქობულეთის წყალის“ წილის 100%-ის მფლობელი[1] არის ქობულეთის მუნიციპალიტეტი და მნიშვნელოვნად მონაწილეობს მის მართვაში.

განცხადებაში მითითებულია, რომ 2014 წლის 3 ივლისს შპს „ქობულეთის წყალის“ ტექნიკური განყოფილების ბრიგადამ სცადა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, თუმცა, ვინაიდან ადგილობრივი მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან ხელშეშლას ჰქონდა ადგილი, სამუშაოების ჩატარების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ხელშეშლის შესახებ ინფორმირებული იყო სსიპ 112 და ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციაც. აღნიშნული ინციდენტის შესახებ 2014 წლის 5 სექტემბერს შპს „ქობულეთის წყალმა“ აცნობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

შპს „M&B“- ის წარმომადგენელთან მ. მ.-სთან გასაუბრების ოქმიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 3 ივლისის შემდეგ, ის წყალგაყვანილობასთან დაკავშირებული სამუშაოების თაობაზე ხშირად უკავშირდებოდა შპს „ქობულეთის წყალს“, თუმცა, კომპანიის წარმომადგენლები სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზად უსაფრთხოების არარსებობას ასახელებდნენ. ამასთან, მ. მ.-ს განცხადებით, მას შესთავაზეს, რომ თანხას 1650 ლარის ოდენობით უკან დაუბრუნებდნენ და ჩამოშორდებოდნენ საქმეს, რაზეც მ.-მ უარი განაცხადა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის გაზაფხულზე, როდესაც აღნიშნული ფაქტის შესახებ EMC-მ აცნობა პოლიციასა და გამგეობას და მათგან უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტია მიიღო, შპს „ქობულეთის წყალი“-ს წარმომადგენლები განმეორებით მივიდნენ პანსიონატის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის წყალარინების სისტემაზე მიერთების მიზნით. მათი მისვლის შემდეგ, მალევე შეიკრიბა დაახლოებით 10-15 ადგილობრივი მართლმადიდებელი, რომლებიც შპს „ქობულეთის წყალს“ სამუშაოების ხელშეშლით დაემუქრნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ახლოს იდგა საპატრულო პოლიციის მანქანა, პოლიციელები არ ჩართულან მიმდინარე მოვლენებში, მათთვის არც შპს „ქობულეთის წყალს“ მიუმართავს რეაგირების მოთხოვნით.

[1] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შპს ქობულეთის წყალი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 247009856

EMC-ის მიმართვის საპასუხოდ, 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომში შსს) მზადყოფნა გამოთქვა, რომ კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებდა სამართალდარღვევაზე რეაგირებას.

2015 წლის 26 აგვისტოს შპს „ქობულეთის წყალმა“ EMC-სთვის მიწერილ წერილში აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის გასვლის შემდეგაც ვერ სრულდებოდა სამუშაო ჯეროვნად და გამოთქვა მზაობა, რომ უსაფრთხოების გარანტიების შექმნის შემდეგ სამუშაოებს განაახლებდა. აღნიშნულის საპასუხოდ, 2015 წლის 24 სექტემბერს EMC-მ შპს „ქობულეთის წყალს“ გაუგზავნა შსს-ს 2015 წლის 17 აგვისტოს წერილი, რომლითაც შსს მზადყოფნას გამოთქვამდა, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხელშეშლის შემთხვევაში, შესაბამისი ზომები მიეღო.

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად, 2015 წლის 13 ოქტომბერს შპს „ქობულეთის წყალმა“ EMC-ის აცნობა, რომ სამუშაოების შესრულების თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 23 ოქტომბერი. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, 2015 წლის 19 ოქტომბერს, შპს „ქობულეთის წყალმა“ EMC-სთვის მიწერილ წერილში აღნიშნა, რომ სამუშაოების ჩატარება გაურკვეველი დროით გადადო, მიზეზად კი 2015 წლის 8 ოქტომბერს ქობულეთში მომხდარი სტიქია დაასახელა.

ქობულეთის გამგეობის (2016 წლის 6 მაისი) და შპს „ქობულეთის წყალის“ (2016 წლის 10 მაისი) წერილებში კვლავ აღნიშნულია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეშლას და ასევე ირკვევა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მოსახლეობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

2016 წლის 23 მარტს EMC-ის წარმომადგენლების მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ს. ე.-სთან გასაუბრების აუდიო ჩანაწერის თანახმად, გამგებელი აცხადებს, რომ მოსახლეობა მოტყუებული დარჩა, ვინაიდან თავდაპირველად ყველამ იცოდა, რომ ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე შენობაში იცხოვრებდნენ მასწავლებლები თავიანთი ოჯახებით, ანუ ობიექტი არ იქნებოდა გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.[2]

ს. ე.-ის განმარტებით, ის ცდილობდა კონფლიქტის იმგვარად მოგვარებას, რომ ორივე მხარის ინტერესები გათვალისწინებული ყოფილიყო და პროცესები მშვიდობიანად დასრულებულიყო. მისი თქმით, მოსახლეობის გაღიზიანება დამატებით გამოიწვია მუსლიმი თემის მიერ შეტანილი სარჩელის შესახებ სასამართლოს უწყების მიღებამ, რის შემდეგაც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაბარდებოდათ, არ მისცემდნენ საშუალებას ჩაეტარებინათ წყალარინების სისტემაზე მიერთებისთვის საჭირო სამუშაოები. გამგებელმა განაცხადა, რომ მას არ სურდა სიტუაციის გამწვავება და მხარეების გაღიზიანება და მუსლიმ თემს დაპირდა,

[2] EMC-ის წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელის საუბრის აუდიო ჩანაწერი, 00:20-00:50

რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულების შემდეგ მოაგვარებდა სიტუაციას.[3] გამგებელის განცხადებით, მისთვის არ აქვს მნიშვნელობა თუ რა მიზნებისათვის იქნება გამოყენებული ლერმონტოვის N13-ში არსებული ობიექტი, თუმცა აღნიშნა, რომ მოსახლეობისგან ასეთი წინააღმდეგობის არსებობის პირობებში, მოერიდა სიტუაციის გამწვავებას. იგივე პოზიცია დააფიქსირა გამგებელის ერთ-ერთმა მოადგილემ, რომლის თქმითაც, მუნიციპალიტეტს არ სურს ხელი შეუწყოს კონფრონტაციას და შუღლის გაღვივებას რელიგიებს შორის.[4] ამასთან, გამგებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობას აქვს ინფორმაცია რომ მსგავსი პანსიონები ბავშვებს ტერორისტული იდეოლოგიით ზრდიან.[5]

შპს „M&B"-ის წარმომადგენელი მ. მ. ადასტურებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იძლეოდა სამუშაოების ჩატარების საშუალებას, ვინაიდან არ სურდათ მათ გვერდით მუსლიმთა პანსიონის გახსნა. მოსახლეობა აცხადებდა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და აღნიშნულს არ დაუშვებდნენ.

2016 წლის 5 სექტემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შპს „ქობულეთის წყალი" ჩაატარებს ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოებს, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხელშეშლა აღიკვეთება, რაც გამგეობის უფლებამოსილებას აღემატება. მსგავსი შინაარსის წერილი მიიღო სახალხო დამცველმა შპს „ქობულეთის წყალიდან" 2016 წლის 13 სექტემბერს.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საკითხს სახალხო დამცველი 2014 წლიდან სწავლობს. ლერმონტოვის N13-ში მდებარე შენობის წყალსადენ მილზე მიერთების პრობლემასთან დაკავშირებით, ააიპ „ქართველ მუსლიმანთა ურთიერთობის" თავმჯდომარემ - ჰ. რ. კ.-მ აპარატს 2014 წლის 30 ოქტომბერს მომართა. სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, რომ იმის მიუხედავად, რომ შპს „ქობულეთის წყალს" სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ ჩაერიცხა თანხა, კომპანიამ ვალდებულება არ შეასრულა. შპს „ქობულეთის წყალის" 2016 წლის 29 ნოემბრის წერილის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობით იყო განპირობებული.

[3] EMC-ის წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელის საუბრის აუდიო ჩანაწერი, 11:40-11:45

[4] EMC-ის წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელის საუბრის აუდიო ჩანაწერი, 43:25-44:05

[5]EMC-ის წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელის საუბრის აუდიო ჩანაწერი, 15:55-16:20

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[6]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული***

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[7]

2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გამოყენება განმცხადებელს სასწავლო მიზნებისთვის სურს. აღნიშნულ შენობაში იგეგმება მუსლიმი ბავშვებისათვის განკუთვნილი პანსიონის განთავსება. განცხადებიდან იკვეთება, რომ ობიექტის ინფრასტრუქტურა ამ ეტაპზე არ იძლევა საშუალებას, რომ ახალი სასწავლო წლიდან განმცხადებელმა დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ფართი, ვინაიდან შპს „ქობულეთის წყალი“ არ ატარებს წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოებს, რის გარეშეც შეუძლებელია შენობის ნორმალური ფუნქციონირება. სამუშაოების შეუსრულებლობას კი საფუძველად უდევს ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის წინააღმდეგობა, რომელთაც არ სურთ, რომ ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მუსლიმი ბავშვებისათვის პანსიონი გაიხსნას.

ამდენად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც რელიგიის თავისუფლებაში, ასევე საკუთრების უფლებაში ჩარევას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია აზრის, სინდისისა და

[7] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom,* nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

კონვენციის მე-9 მუხლი იცავს როგორც უფლებას გწამდეს, ასევე რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, რელიგიურ ჯგუფებს აქვს უფლება დააარსონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ან/და ასწავლონ თავისი რელიგია.[9]

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს არ ეძლევა საშუალება სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენოს თავის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ისინი მუსლიმები არიან. აღნიშნული კი, ცალსახად წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას.

საკუთრების უფლებას აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების ცნება ავტონომიური შინაარსისაა და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგნებზე საკუთრების უფლებით, ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს შესაძლოა განხილული იყოს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე.[10]

ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, აღნიშნული მუხლი იცავს არა მხოლოდ მესაკუთრეს, არამედ მფლობელსაც, მაშინაც კი, როდესაც შენობა-ნაგებობა საკუთრება არ არის და მხოლოდ სარგებლობაშია. სასამართლოს განმარტებით, მფლობელობის კონცეფცია არ იზღუდება მხოლოდ არსებული მფლობელობით, არამედ იგი ასევე მოიცავს, სხვა საშუალებებს, რომელიც დაკავშირებულია განმცხადებლის შესაძლებლობასთან იდავოს, რომ მას აქვს საკუთრების უფლებით ეფექტურად სარგებლობის სულ მცირე გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი.[11] საკუთრებით ეფექტური სარგებლობა მოიცავს არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩაურევლობას, არამედ

---

[8] ECtHR, *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, no. 45701/99, 27/03/2002, § 114

[9] ECtHR, *Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia*, no. 302/02, 10/06/2010, § 102

[10] საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის №1/5/489-498 გადაწყვეტილება, II, ბ.2

[11] ECtHR, *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, 27/08/2010, § 103

პოზიტიურ ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, პირის მიერ საკუთრების უფლების შეუფერხებლად რეალიზაციის მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები.[12]

იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, განმცხადებელი გახდა ლერმონტოვის ქუჩის N13-ში არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის მფლობელი. ჯეროვანი წყალარინების სისტემის არარსებობის პირობებში კი, განმცხადებელს ხელი ეშლება ისარგებლოს საკუთრების უფლებით და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს მფლობელობაში არსებული ქონება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ***რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა ხდება საკუთრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის გზით.***

2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[13]

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.[14]

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელის სარგებლობაში არსებული ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთება არ ხდება, ვინაიდან ქობულეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა ეწინააღმდეგება ობიექტის სასწავლო მიზნებისთვის, კერძოდ, მუსლიმი ბავშვებისთვის პანსიონად გამოყენებას. შპს „ქობულეთის წყალისა“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქმედებები კი არის მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაკარნახევი და ხელისუფლება მოქმედებს ადგილობრივი ქრისტიანების ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო განმცხადებლის მიმართ არათანასწორი მოპყრობა ხორციელდება რელიგიის უფლების სწავლებით გამოხატვის გამო. ამდენად, განმცხადებელი

---

[12] ECtHR, *Öneryıldız v. Turkey*, no. 48939/99, 30/11/2004, §136

[13]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II.19

[14]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოში დომინანტი რელიგიის წარმომადგენლებთან შედარებით.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და გამოყენებული საშუალება დასახული ***მიზნის თანაზომიერია.***

ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[15] უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა.[16]

„თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. განსახილველ შემთხვევაში, ექსკლუზიური უფლებამოსილება დელეგირებულია შპს „ქობულეთის წყალზე“, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა კი, რომელიც შპს „ქობულეთის წყალის“ წილის 100%-ის მფლობელია, მნიშვნელოვნად მონაწილეობს კომპანიის მართვაში.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შპს „ქობულეთის წყალს“ მხოლოდ ორჯერ ჰქონდა განმცხადებლის სარგებლობაში არსებული ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოების ჩატარების მცდელობა, ხოლო მესამედ სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზად 2015 წლის 8 ოქტომბერს ქობულეთში მომხდარი სტიქია დასახელდა. სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ აღნიშნული სამუშაოების გადადების ხელოვნურ მიზეზს წარმოადგენს, რამდენადაც, შპს „ქობულეთის წყალის“ მიერ EMC-ს სწორედ სტიქიის შემდეგ, 2015 წლის 13 ოქტომბერს ეცნობა, რომ სამუშაოების ჩატარების თარიღად იმავე წლის 25 ოქტომბერი განისაზღვრა. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 2015 წლის გაზაფხულიდან დღემდე, არ ყოფილა მცდელობა, უფლებამოსილი ორგანოების ჩართულობით, მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხელშეშლის თავიდან

[15]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება #3/1/531, II, 15

[16]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 23

აცილება და განმცხადებლის სარგებლობაში არსებული შენობის წყალარინების სისტემაზე მიერთება.

ამას გარდა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სამუშაოების შეჩერების მიზეზად მოსახლეობას შორის დაპირისპირების თავიდან აცილებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალური მშვიდობის შენარჩუნების მიზანს ასახელებს.

გამგეობის წარმომადგენელთა მიერ დასტურდება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ სურდა კონფლიქტის გამწვავება და შუღლის ჩამოგდება სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებს შორის და ამჯობინეს, რომ სიტუაციის გამწვავების ნაცვლად წყალარინების სისტემაზე ობიექტის მიერთება დროებით გადაედოთ. შესაბამისად, ლერმონტოვის N13-ში მდებარე ობიექტის მიზნობრივი გამოყენება დღემდე ვერ ხდება, ვინაიდან აღნიშნულ შენობაში ცხოვრებისთვის ან/და სასწავლო მიზნებით გამოყენებისთვის შეუსაბამო მდგომარეობაა. წყალარინების სისტემაზე მიერთების გარეშე შენობაში არ იქნება დაცული სანიტარიული პირობები, აღნიშნული კი ობიექტს, ფაქტობრივად, გამოუსადეგარს ხდის განმცხადებლისთვის.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ჩარევისგან, არამედ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას განახორციელოს აქტიური პოზიტიური მოქმედებები საკუთრების უფლების შინაარსის რეალური გამოვლინებისათვის; საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას.[17] საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლისას სახელმწიფომ უნდა დაამყაროს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ზოგადი ინტერესებით განპირობებულ მოთხოვნებსა და ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას შორის.[18]

ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები უნდა მოარგოს ერთმანეთს,[19] რათა ნეიტრალურად და მიუკერძოებლად დაიცვას მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა და ურთიერთგაგება. სწორედ ნეიტრალიტეტზე და მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულობა და პლურალიზმი.[20] სახელმწიფოს როლი არ არის, რომ პლურალიზმის გაუქმებით აღმოფხვრას სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაძაბულობის მიზეზი, არამედ ხელი შეუწყოს, რომ ამ ჯგუფებმა ერთად თანაცხოვრება შეძლონ.[21] სახელმწიფოს აღნიშნული როლი ხელს უწყობს დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო წესრიგის, რელიგიური მშვიდობისა და ტოლერანტული გარემოს შექმნას და არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც რწმენის ან იმ რელიგიის როლის

---

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/5/224, I, 4

[18] ECtHR, *The Holy Monasteries v. Greece*, nos: 13092/87 and 13984/889/12/1994, §70

[19] ECtHR, *Kokkinakis v. Greece*, no. 14307/88, 25/05/1993, § 33

[20] ECtHR, *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, no. 45701/99, §§ 115-16

[21] ECtHR, *Serif v. Greece*, no: 38178/97, 14/12/1999, § 53

დამაკნინებელი, რომელთანაც ამ სახელმწიფოს მოსახლეობა ისტორიულად და კულტურულად ასოცირდება.[22] სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს ბალანსს, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობების მიმართ სამართლიანი მოპყრობა და თავიდან აიცილებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას.[23] ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ უმცირესობა თავისი რელიგიის სწავლებით ვერ შეძლებს მასშტაბური მავნე ზეგავლენა მოახდინოს უმრავლესობაზე.[24]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უმრავლესობის ინტერესები ყოველთვის ან ძირითადად უპირატესი ვერ იქნება. დემოკრატია ეყრდნობა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს სამართლიან მიდგომას უმცირესობების წარმომადგენლებისადმი.[25] ეს თავისუფლება, როგორც მინიმუმ, მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას.[26]

შპს „ქობულეთის წყალის“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელთა განცხადებით, უმოქმედობა მოტივირებულია რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილებისა და სოციალური მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს ლეგიტიმური მიზანი, უფლების შეზღუდვა იქნება არაპროპორციული თუკი ჩარევა განპირობებულია მხოლოდ პირთა განსხვავებული რელიგიისადმი კუთვნილებით.[27]

როგორც ზემოთ განხილული ფაქტებიდან იკვეთება, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობას შორის მშვიდობის შენარჩუნების არჩეული საშუალება არ არის მიზნის მიღწევის პროპორციული ღონისძიება, რადგან აღნიშნულით მხოლოდ მუსლიმი თემის წარმომადგენლები ზარალდებიან, რამდენადაც, დომინანტი რელიგიური ჯგუფის სურვილის საფუძველზე, საკუთრების უფლების შეზღუდვის გზით, თემი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინონ რელიგიის თავისუფლების რეალიზაცია სწავლების გზით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოსახლეობას შორის დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელი იყო ნაკლებად მზღუდავი საშუალებების გამოყენება. როგორც გამოკვლეული მასალებიდან ირკვევა, 2 წლის განმავლობაში, ხელისუფლებას არ ჰქონია კონფლიქტის მოგვარების მიზნით პოზიტიური ღონისძიებების გატარების

---

[22]ECtHR, *Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia*, no. 71156/01, 03/08/2007, § 132; *Begeluri and Others v. Georgia*, no. 28490/02, 07/01/2015, § 158

[23] ECtHR, *Young, James and Webster v. United Kingdom*, nos. 7601/76, 7806/77, 13/08/1981, § 63

[24] ECtHR, *Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia,* Application. no. 302/02, 10/06/2010, § 112; *Kimlya and others v. Russia*, nos. 76836/01 & 32782/03, 01/03/2010, § 86

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი N 1/1/477 გადაწყვეტილება, II, პ. 43

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერის N 1/1/477 გადაწყვეტილება, II, პ. 7

[27] ECtHR, *Hoffman v. Austria*, no. 12875/87, 23/06/1993, § 36

მცდელობა, მაგალითად, მართლმადიდებელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიეწოდებინა სწორი ინფორმაცია მუსლიმი თემის მიერ პანსიონის გახსნის შესახებ ან წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოების ჩატარებისას მოსახლეობის მხრიდან ხელშეშლის შემთხვევაში მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პლურალიზმის აღმოფხვრა ვერ ჩაითვლება რელიგიურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის მოგვარების საშუალებად. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს იმგვარი ზომები, რომ დაპირისპირებულმა ჯგუფებმა შეძლონ თანაცხოვრება ისე, რომ არც ერთი მხარის ინტერესი არ შეილახოს.

დამატებით, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ის სტერეოტიპული და მცდარი შეხედულებები, რაც მოსახლეობის განწყობებს განაპირობებს. როგორც გამგებელთან გასაუბრებით ირკვევა, მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მსგავსი პანსიონები ბავშვებს ტერორისტული იდეოლოგიით ზრდიან[28] და ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მოსახლეობაში დომინირებს აზრი, რომ ობიექტის სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებას. მსგავსი სტერეოტიპული შეხედულებები ახდენს რელიგიური ჯგუფის სტიგმატიზაციას და აფერხებს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს ეკისრებათ უმნიშვნელოვანესი როლი, გააქარწყლონ საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი ინფორმაცია და შექმნან თანასწორი გარემო სხვადასხვა რელიგიებისთვის, რაც რეალურად წარმოადგენს რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტურ გზას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მის საკუთრებაში არსებული შპს „ქობულეთის წყალის“ უმოქმედობა განპირობებულია განმცხადებლის მიზნით, რელიგიური დანიშნულებით გამოიყენოს შენობა, შესაბამისად, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „ქობულეთის წყალმა“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ მიმართ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია რელიგიის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს:

- შპს „ქობულეთის წყალს“, რომ დაუყოვნებლივ ჩაატაროს ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის წყალარინების სისტემაზე მიერთების

[28]EMC-ის წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელის საუბრის აუდიო ჩანაწერი, 15:55-16:20

სამუშაოები, რომ ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობამ“ შენობით სარგებლობა სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეძლოს;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებითა და მათი მონაწილეობით, დაუყოვნებლივ შეუწყოს ხელი შპს „ქობულეთის წყალის“ მიერ ლერმონტოვის N13-ში მდებარე ობიექტის წყალარინების სისტემაზე მიერთების სამუშაოების ჩატარებას;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მუნიციპალიტეტში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,